**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ა კ ა დ ე მ ი უ რ ი   ს ა ბ ჭ ო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 59

2016 წლის 19 ივლისი,
ქ. ბათუმი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ემუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N90 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,დადგენილების პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2016 წლის 18 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით;“

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

მერაბ ხალვაში